



N 39, 2021

სარჩევი

| | |
|---|---|
| ნავთობი და გაზი | 2 |
| აშშ მოუწოდებს ჩინეთს, შეწყვიტოს ირანის ნავთობის შესყიდვები | 2 |
| სენატორი ჯიმ რიში: რუსეთი გაზის კრიზისს ქმნის, რათა შანტაჟის გზით ევროკავშირი აიძულოს, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ დაამტკიცოს | 2 |
| ელექტროენერგეტიკა | 3 |
| საქართველოში „ჭკვიანი მრიცხველების“ დაყენება იწყება - ვინ შეძლებს პირველ ეტაპზე აღრიცხვის ზუსტი მექანიზმით სარგებლობას | 3 |
| რა მოცულობის ელექტროენერგია იხარჯება მსოფლიოში ბიტკოინის გამომუშავებაზე.... | 3 |
| განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა..... | 4 |
| თბილისისა და ლანჩხუთის სკოლები მზის პანელებით აღიჭურვება | 4 |
| ცენტრალურ ევროპაში წყალბადის მაგისტრალი შეიქმნება | 4 |
| კლიმატის ცვლილება..... | 5 |
| საქართველოში კლიმატის მწვანე ფონდის €33 მლნ-იანი პროექტი – ECO.Georgia“ იწყება.. | 5 |
| პოლარული ყინულის დნობა დედამიწის ქერქში ფართომასშტაბიან ცვლილებებს იწვევს | 6 |
| პუბლიკაციები..... | 7 |
| ღონისძიებები | 7 |

ნავთობი და გაზი

აშშ მოუწოდებს ჩინეთს, შეწყვიტოს ირანის ნავთობის შესყიდვები

აშშ-მა მოუწოდა ჩინეთს, შეწყვიტოს ირანის ნედლი ნავთობის შესყიდვები. Reuters-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუწყება “ნავთობპროდუქტების იმპორტიორთ კავშირი”.

ჩინეთის ნაციონალურ რესპუბლიკაში ნედლეულის ექსპორტმა ხელი შეუწყო ირანის ეკონომიკას, რომელიც აშშ-ის სანქციების ქვეშ იმყოფება. ისინი შექმნილია იმისთვის, რომ შეზღუდონ ნავთობის გაყიდვები სხვა ქვეყნებში და მოახდინონ ზეწოლა თეირანზე, რათა მათ განახლონ მოლაპარაკებები ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმაზე დასაბრუნებლად, როგორც ეს ამერიკულ მხარეს სურს.

“ჩვენ ვიყენებით და კვლავ გამოვიყენებთ ჩვენს სანქციებს იმისათვის, რომ რეაგირება მოვახდინოთ ირანის მიერ სანქციებისთვის თავის არიდებას, მათ შორის ჩინური კომპანიების მიმართ საქმის წარმოების გზით. თუმცა, ჩვენ ამ საკითხს ჩინეთთან დიპლომატიური გზით ვუდგებით” – განაცხადა აშშ-ის მაღალჩინოსანმა.

ანალიტიკური კომპანია Kpler-ის შეფასებით, ირანული ნავთობის იმპორტმა ჩინეთში წლის დასაწყისიდან შეადგინა 553 ათასი ბარელი/დღეში.

<https://cutt.ly/SEHQdpK>

სენატორი ჯიმ რიში: რუსეთი გაზის კრიზისს ქმნის, რათა შანტაჟის გზით ევროკავშირი აიძულოს, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ დაამტკიცოს

„რესპუბლიკელი“ სენატორი ჯიმ რიში ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის საკითხზე პოზიციის გამო აკრიტიკებს.

„ადმინისტრაციამ ცოტა რამეს მიაღწია ამ პროექტისადმი თავისი მიდგომით“, – აღნიშნა სენატორმა. ჯიმ რიშის თქმით, „რუსეთი გაზის კრიზისს ქმნის, რათა შანტაჟის გზით ევროკავშირი აიძულოს, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ დაამტკიცოს და ევროპაზე თავისი ენერგეტიკული გავლენა გააძლიეროს“.

23 სექტემბერს, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა.

21 ივლისს, აშშ-მა და გერმანიამ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც გერმანიამ ვალდებულია, ზომები მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ენერგომატარებლის უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებას შეეცდება ან თუ უკრაინის მიმართ აგრესიულ ქმედებას ჩაიდენს. ეს მოიცავს გერმანიის მიერ ზომების გატარებას როგორც ეროვნულ, ასევე ევროკავშირის დონეზე, მათ შორის სანქციების დაწესებას.

გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა 10 სექტემბერს დასრულდა. Nord Stream AG-აღნიშნავენ, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე ამოქმედდება.

<https://cutt.ly/zEHQfCv>

ელექტროენერგეტიკა

საქართველოში „ჭკვიანი მრიცხველების“ დაყენება იწყება - ვინ შეძლებს პირველ ეტაპზე აღრიცხვის ზუსტი მექანიზმით სარგებლობას

1-ლი ოქტომბრიდან, ე.წ. ჭკვიანი მრიცხველების დამონტაჟების შესახებ ახალი რეგულაცია შედის ძალაში. ვის შეეძლება ამ მრიცხველებით სარგებლობა და რას ნიშნავს „ჭკვიანი მრიცხველი“, ამასთან დაკავშირებით ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის წევრმა, გიორგი ფანგანმა რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ ისაუბრა.

გიორგი ფანგანის თქმით, პირველ ეტაპზე ახალი მრიცხველის დაყენების შესაძლებლობა ექნებათ ახალ აშენებულ სახლებში, რომლებიც 1-ლი ოქტომბრიდან შევლენ ექსპლუატაციაში.

„ჭკვიანი მრიცხველები არის ერთი ნაბიჯი, მაგრამ დიდი ნახტომია ენერგეტიკაში. ჭკვიანი აღრიცხვის პირველი და მთავარი მახასიათებელი პოზიტიური მხარეა, რომ ძალიან ბევრს ფუნქციონარს ანაცვლებს. მაგალითად, წამკითხველს, გამომრთველს, ჩამრთველს და ა.შ. ყველა კომპანიაში ეს ფუნქციები დაყოფილია და წამკითხველს არ აქვს იმის უფლება, რომ მან მერე, გამორთოს ან ჩართოს მომხმარებელი. ენერგეტიკის კი, როგორც ერთ-ერთი კაპიტალტევადი დარგისთვის ჭკვიანი მრიცხველი არის ტექნიკურის გარდა ფინანსურად ძალიან მომგებიანი, რადგან ძალიან სერიოზულად შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს. აღარ იქნება საჭირო ასობით თანამშრომელი, რომელიც ამ ყველაფერს არც თუ დიდი წარმატებით აკეთებდნენ. ეს არის უზუსტესი მექანიზმი, რომელსაც აქვს შემდეგი ფუნქციები, არა მხოლოდ დისტანციურად მოგვაწოდოს ინფორმაცია, რამდენი კილოვატ საათი არის მოხმარებული, ასევე შეზღუდოს ელექტროენერჯის მიწოდება, ასევე ჩართოს და დაიტოვოს დანაკარგი. ასევე, ახალ სისტემაში იქნება სხვადასხვა ფასი დღისით და ღამით, ასევე საათობრივი. ამის აღრიცხვა ჩვეულებრივი მრიცხველით შეუძლებელია.

ხვალიდან, ყველა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ახალაშენებულია და შევა ექსპლუატაციაში, მიმართავს კომპანიას, რომ ქსელზე მიერთება სურს, აღჭურვილი იქნება ამ ახალი მრიცხველებით. ძალიან მალე კი, ჩვენ წარმოვადგენთ გეგმას ვადებით და თარიღებით, თუ როგორ უნდა ჩანაცვლდეს ყველა მრიცხველი საქართველოში. რაც შეეხება ჩანაცვლების საფასურს, ამას სრულად კომპანია დაფარავს, როგორც სხვა ყველა გამანაწილებელი კომპანიის შემთხვევაში. მრიცხველის შეცვლა, შემოწმება და დამოწმება მათი ვალდებულებაა. დამერწმუნეთ, ძალიან ბევრჯერ შეცვლილა ისე მრიცხველები, რომ ამას მომხმარებელი ვერ გრძნობს“, - განაცხადა გიორგი ფანგანმა.

<https://cutt.ly/xEHQhmB>

რა მოცულობის ელექტროენერგია იხარჯება მსოფლიოში ბიტკოინის გამომუშავებაზე

Bitcoin-ის მოპოვებისას გამოყენებული ენერჯის მოცულობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, დაახლოებით ათჯერ, 91 ტერავატი/სთ-მდე გაიზარდა. ეს კი მსოფლიოში მოხმარებული ელექტროენერჯის 0.5 პროცენტს შეადგენს.

Bitcoin-ის გამომუშავებით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე, მრავალი წელია კრიტიკას იმსახურებს. ციფრული ვალუტის მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ ამდენი ბუნებრივი რესურსის ხარჯვა აღნიშნულ ინდუსტრიაში არ ღირს.

როგორც businessinsider წერს, არსებობს მოლოდინი, რომ ელექტროენერჯის მოხმარება გაიზრდება. ბიტკოინი ახლა დაახლოებით, 50,000 დოლარი ღირს, რაც გასულ წელთან შედარებით ხუთჯერ მეტია. მისი ფასი 2016 წელს მხოლოდ 500 დოლარი იყო.

<https://cutt.ly/AEHQkae>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

თბილისისა და ლანჩხუთის სკოლები მზის პანელებით აღიჭურვება

„საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ ინიციატივითა და თანადაფინანსებით, თბილისისა და ლანჩხუთის ხუთი საჯარო სკოლა მზის პანელებით აღიჭურვება.

სკოლებში დამონტაჟდება ინდივიდუალური მიკროელექტროსადგურები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 200 კვტ-ს შეადგენს. პროექტი ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდება.

„მზის ეს მიკროელექტროსადგურები სისტემაში ნეტო-აღრიცხვის სქემითაა ჩართული, რაც საშუალებას იძლევა, სკოლებმა გამომუშავებული ელექტროენერჯია სრულად გამოიყენონ, სიჭარბის შემთხვევაში კი ჭარბად გაცემულ ყოველ კვტ.სთ-ზე საანგარიშო წლის ბოლოს შესაბამისი ანაზღაურებაც მიიღონ. ამით შესაძლებელი ხდება, სკოლებს ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირდეთ და დანაზოგი თანხები სხვა პრიორიტეტული საკითხების მოსაგვარებლად მიმართონ. გარდა ამისა, პროექტი ახალ თაობაში განახლებადი ენერჯის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც ემსახურება“, – აღნიშნავს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორი გიორგი ჩიქოვანი.

ამჟამად თბილისსა და ლანჩხუთში წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, სამონტაჟო სამუშაოები კი 2021 წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს.

ეს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისთვის“ რიგით მეორე მსგავსი პროექტი იქნება. ასევე ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლის მაისში დასრულდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მზის პანელებით აღიჭურვა ბათუმის საჯარო სკოლების ნახევარი, კერძოდ 13 საჯარო სკოლა. პანელების ჯამური დადგმული სიმძლავრე – 333 კვტ, ხოლო საპროგნოზო წლიური გამომუშავება 366 000 კვტ.სთ-ია.

<https://cutt.ly/4EHQzjk>

ცენტრალურ ევროპაში წყალბადის მაგისტრალი შეიქმნება

უკრაინის, სლოვაკეთის, ჩეხეთისა და გერმანიის გაზის ინფრასტრუქტურის ოთხი ევროპული კომპანია ცენტრალურ ევროპაში წყალბადის მილსადენის ასაშენებლად ერთიანდება. ამის შესახებ უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემების ოპერატორის განცხადებაში არის ნათქვამი.

ერთობლივ ინიციატივას „ცენტრალური ევროპის წყალბადის დერეფანი“ ეწოდა, რაც მიზნად ისახავს ცენტრალურ ევროპაში წყალბადის მაგისტრალის შექმნას. მილსადენი უკრაინის წყალბადის პერსპექტიული რეგიონებიდან, სლოვაკეთისა და ჩეხეთის გავლით, წყალბადს ევროკავშირის მეტად მოთხოვნად რეგიონებს მიაწვდის. წყალბადის ტრანსპორტირება, ასევე, ჩეხეთსა და სლოვაკეთშიც მოხდება. მაგისტრალი დღეში 120 გვტ/სთ-მდე რაოდენობის სუფთა წყალბადის ტრანსპორტირებას განახორციელებს.

პროექტში მონაწილე კომპანიები არიან: სლოვაკური ოპერატორი EUSTREAM, უკრაინული OTCY, ჩეხეთიდან – NET4GAS და გერმანიის წამყვანი ოპერატორი OGE.

„მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში, დეკარბონიზაციის პროგრამაში ბუნებრივი გაზი ენერჯის ძირითად წყაროდ და მნიშვნელოვან ფაქტორად დარჩება. თუმცა წყალბადი მნიშვნელოვან როლს 2050 წლისთვის შეასრულებს, როცა ევროპის ეკონომიკა, სავარაუდოდ, ნახშირბადნიტრალიტეტს მიაღწევს,“ – აცხადებს OTCY-ს გენერალური დირექტორის მოადგილე, პაველ სტანჩაკი.

სლოვაკეთი და ჩეხეთი გამოიყენებენ დიდი გაზსადენის დერეფანს, რომელიც უკრაინას ევროპაში წყალბადის მოთხოვნად ზონებთან დააკავშირებს. სლოვაკეთის, ჩეხეთისა და გერმანიის გაზის სატრანსპორტო სისტემების წყალბადის ტრანსპორტირებისთვის გადაკეთება შესაძლებელია. მოსალოდნელია, რომ გერმანია წყალბადის მოთხოვნილების უმნიშვნელოვანესი ქვეყანა გახდეს ევროპაში და მნიშვნელოვანი მოცულობა დაიტოვოს.

ცენტრალური ევროპის წყალბადის დერეფანი, ნაწილობრივ, არსებული გაზის ინფრასტრუქტურის გადაპროფილირებით შეიქმნება, რასაც ახალ სპეციალურ წყალბადის მილსადენებსა და კომპრესორ სადგურებში მიზნობრივი ინვესტიციები დაემატება. ეს წყალბადის დიდ დისტანციებზე ტრანსპორტირებას ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფს.

<https://cutt.ly/rEHOxmj>

კლიმატის ცვლილება

საქართველოში კლიმატის მწვანე ფონდის €33 მლნ-იანი პროექტი – ECO.Georgia“ იწყება

საქართველოში კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) პროექტი „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა – ECO.Georgia“ იწყება.

შეთანხმება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის გაფორმდა.

„ვიწყებთ პროექტს, რომელიც კლიმატის მწვანე ფონდის, გერმანიისა და შვეიცარიის მთავრობების მიერ 47 მლნ ევროს საგრანტო დაფინანსებას ითვალისწინებს და დაგეგმარება ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის ჩამოყალიბებაში, ენერგოეფექტური და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვაში, ტყის მართვის გაუმჯობესებაში. პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას, გაძლიერდება და გაუმჯობესდება ტყისა და ტყის რესურსების კონტროლი, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. პროექტი ხელს შეუწყობს ტყის ახალი კოდექსის დანერგვას და ახალი

მიდგომების აღსრულებას“- განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

პროექტის განხორციელებისთვის, GCF-ის სამეთვალყურეო საბჭომ, 2020 წლის აგვისტოში, 33 მლნ ევროს გრანტი დაამტკიცა. პროექტის, რომლის ხანგრძლივობა 7 წელია, თანადამფინანსებლები არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა (10 მლნ ევრო) და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობა (4.09 მლნ ევრო).

„საქართველოში დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება, რომელიც ტყით ეფექტიანი სარგებლობის სისტემის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში საქართველოს მხარდამჭერები არიან მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები – კლიმატის მწვანე ფონდი (GCF), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ასევე გერმანიის და შვეიცარიის მთავრობები და გვეხმარებიან პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ეს არის მნიშვნელოვანი, როგორც ენერგოეფექტურობის ამაღლებისთვის, ასევე ეკოტურიზმის განვითარებისთვის“, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ.

პროექტი, ტყის აღდგენის, ტყის კარგვის შემცირების, ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციის გზით, ხელს შეუწყობს ტყის ნახშირბადის მარაგების გაზრდას, ასევე, დაეხმარება ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავისთვის ბაზრის განვითარებას, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდას ტყის მდგრად მართვაში, ცნობიერების ამაღლების, პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების მეშვეობით.

<https://cutt.ly/jEHQc83>

პოლარული ყინულის დნობა დედამიწის ქერქში ფართომასშტაბიან ცვლილებებს იწვევს

პოლარული ყინულის საფარის დნობა მხოლოდ ზღვის დონეს როდი სწევს მაღლა. ახალი კვლევის მიხედვით, ამ დროს დეფორმირდება მის ქვეშ არსებული დედამიწის ზედაპირიც და ამ პროცესის ეფექტების ხილვა ათასობით კილომეტრის მანძილზეა შესაძლებელი.

1994 წლიდან დღემდე 28 ტრილიონი ტონა ყინული გადნა – დედამიწა ყველაზე უარესი სცენარებისკენ მიექანება. კონკრეტულად კი ის ხდება, რომ გრენლანდიის, ანტარქტიდისა და არქტიკის კუნძულების მასშტაბით, დედამიწის ქერქი მაღლა იწევს და იჭიმება რადგან ზემოდან ყინულის დიდი მასა აღარ აწევს. ასეთი მოძრაობა ძალიან დიდი არ არის, წელიწადში დაახლოებით მილიმეტრს შეადგენს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ხდება და თანაც ხმელეთის ძალიან დიდ ნაწილზე.

ასევე ხდება უკუკავშირიც, რადგან ყინულების ქვეშ ძირითადი ქანები გადაადგილდება თავის მხრივ გავლენას ახდენს ყინულის დნობასა და დაშლაზე. ამ პროცესის მოქმედების სრულად გარკვევა გადამწყვეტია იმის მოდელირებისთვის, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მსოფლიო მომავალში.

„მეცნიერებმა ბევრი სამუშაო გასწიეს პირდაპირ ყინულის ფენებისა და მყინვარების ქვეშ. შესაბამისად, მათ იცოდნენ, რომ ასეთი პროცესები იმ რეგიონებში უნდა ყოფილიყო, სადაც

მცინვარებია, მაგრამ ვერც წარმოიდგენდნენ, თუ ამას გლობალური მასშტაბი ექნებოდა“, – ამბობს ლოს-ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის გეოფიზიკოსი სოფი კულსონი.

<https://cutt.ly/EEHQbhp>

პუბლიკაციები

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენტ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ღონისძიებები

მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021

თარიღი: 5-6 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021,4,en,2,1,13.html>

მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა “Kostis Palamas”

<https://promitheasconference.wordpress.com/>

ევროპის ენერგოეფექტურობის კონფერენცია 2022

თარიღი: 02-04 მარტი, 2022

ადგილი: ველსი, ავსტრია

<https://www.eceee.org/events/calendar/event/european-energy-efficiency-conference-2022-2/>